ფარმაცია(სააფთიაქო)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში / Higher Vocational Qualification in Pharmacy.“

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება.

მოცულობა და ხანგრძლივობა: საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) მოიცავს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 26 პროფესიულ მოდულს, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით;
სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად;
- დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა;
- შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა;
- განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე;
- ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის შემომავალი, პერიოდული, საბოლოო კონტროლი;
- განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება, შეფუთვა, მარკირება;
- მოამზადოს რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი სამკურნალწამლო ფორმები;
- გაითვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები;
- განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ;
- განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია;
- განახორციელოს ანგარიშის მომზადება–ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური სამკურნალწამლო ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად სამკურნალწამლო ფორმების დაფასოების შესახებ;
- დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება: კვალიფიკაციის მინიჭების პირობაა სავალდებულო კრედიტის ათვისება და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული ორენოვანი დიპლომი დანართით.

პროგრამის მოდულები:

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 2	3
2	მეწარმეობა 3	3
3	უცხოური ენა (ინგლისური ენა)	5
სულ		11
პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
4	სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში	3
5	სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგია	3
6	სითხოვანი სამკურნალწამლო ფორმების მომზადება	5
7	მყარი და რბილი სამკურნალწამლო ფორმების მომზადება	5
8	მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება- შეფუთვა, მარკირება	2
9	პროდუქციის მიღება - განთავსება და ნაშთის პერიოდული კონტროლი	4
10	მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში	2
11	მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა	3
12	მომხმარებლისთვის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა	3
13	მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა	2
14	მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის საგნების/საშუალებების შერჩევა	2
15	ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები	4
16	მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები	6
17	ანატომია-ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპები	5

18	ბიოქიმია	4
19	მიკრობიოლოგიის საფუძვლები	4
20	ფარმაკოლოგია	7
21	ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები	8
22	ანალიზური ქიმიის საფუძვლები	4
23	სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 1	4
24	სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 2	6
25	ტოქსიური ნივთიერებების ბიოლოგიური მასალიდან იზოლირება და აღმოჩენა	5
26	ბოტანიკა	4
27	სამკურნალო მცენარეული და ცხოველური ნედლეული	7
28	სამედიცინო ფიზიკის საფუძვლები	4
29	პირველადი გადაუდებელი დახმარება	3
	სულ:	109